პროექტი

საქართველოს კანონი

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №47, 05.08.2010, მუხ. 301) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 2^1 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ" ქვეპუნქტი:

,,თ) საკოორდინაციო საბჭო - კოლეგიური ორგანო, რომელიც იქმნება 4 წლის ვადით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მართვის, მისი საქმიანობისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით. საკოორდინაციო საბჭოს შექმნის და საქმიანობის წესი განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულებით.".

2. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც 5 წლის ვადით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.“.

3. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს 2^1-2^4 პუნქტები:

„2^1. ცენტრის დირექტორს მინისტრის წარდგინებით თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2^2. ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრები ცენტრის დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად მონაწილეობენ ცენტრის დირექტორის კანდიდატურის შერჩევისა და გათავისუფლების პროცესებში;

2^3. ცენტრის დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;
გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
დ) გარდაცვალება;
ე) სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც შეუძლებელს ხდის მისი უფლებამოსილების განხორციელებას;
ვ) დირექტორის უფლებამოსილების უხეში დარღვევა ან/და ცენტრის საქმიანობისათვის არსებითი ზიანის მიყენება.“.
2^4. ცენტრის დირექტორი იმავდროულად არ შეიძლება იყოს დასაქმებული ან ეკავოს თანამდებობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში.“.

მუხლი 2. ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს შეუწყდეს უფლებამოსილება და ცენტრმა უზრუნველყოს ახალი საკოორდინაციო საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება 2024 წლის პირველ ნოემბრამდე.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *სალომე ზურაბიშვილი*